საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი** **მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ №34** **ტელ/ფაქსი (+995 222) 27 17 87** **ელ.ფოსტა: info@bsu.edu.ge**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ი ს ტ ო რ ი ა / H i s t o r y** **ისტორიის სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ორ სასპეციალიზაციო მოდულს:** **1. საქართველოს ისტორია;** **2. მსოფლიო ისტორია (ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია (XVI-XXI სს.);** **სტუდენტს უფლება აქვს აირჩიოს პროგრამის მხოლოდ ერთი სასპეციალიზაციო მოდული.**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**ისტორიის მაგისტრი** **Master of History**
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	**120 ECTS კრედიტი: (4 სემესტრი)** **სპეციალობის კომპონენტები:** **სასწავლო კომპონენტი - 90 კრედიტი:** ➢ **30 კრედიტი** ეთმობა ორივე მოდულისათვის გათვალისწინებულ სავალდებულო სასწავლო კურსებს; ➢ **50 კრედიტი** - ეთმობა თითოეული მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსებს, რომელშიც შედის სავალდებულო სასწავლო **პრაქტიკა - 5 კრედიტის** მოცულობით; ➢ **10 კრედიტი** განსაზღვრულია თითოეული მოდულის არჩევითი კურსებისათვის. **სამეცნიერო/კვლევითი კომპონენტი -** სამაგისტრო ნაშრომის (სავალდებულო) შესრულება - **30 კრედიტი.**
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	**საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** ➢ საერთო სამაგისტრო გამოცდა; ➢ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით; ➢ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: ინგლისური ენა - B2 დონე და სპეციალობა; ➢ მობილობის წესით ჩარიცხვა.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	1. **მისცეს** ღრმა და სისტემური ცოდნა ქართული ცივილიზაციის / ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის ძირითადი ეტაპების თავისებურებების და ტენდენციების შესახებ მსოფლიო ისტორიის კონტექსტში და მათ გავლენაზე თანამედროვე მსოფლიოში; 2. **მოამზადოს** საქართველოს ისტორიასა და ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალ და უახლეს ისტორიაში კომპლექსური ცოდნის მქონე, მოთხოვნებზე ორიენტირებული, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელსაც შესწევს უნარი

	ღრმად და სისტემურად გაიაზროს და პრაქტიკაში გამოიყენოს შეძენილი ცოდნა; 3. **გამოუმუშავოს** უახლესი კვლევებისა და მიღწევების ფართოცოდნაზე დაყრდნობით ცალკეული ისტორიული პერიოდისა და მოვლენის ქრონოლოგიური ჩარჩოს განსაზღვრის, სამეცნიერო, საარქივო და სხვა ტიპის ტექსტების დამოუკიდებლად მოძიების, სისტემატიზაციის, დამუშავების და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე საკუთარი დასკვნების გაკეთების, წარსულის რეკონსტრუქციის და დარგში არსებული სამეცნიერო მიდგომებისა და თეორიების შესწავლით ინოვაციური იდეების გენერირების უნარი; 4. **განუვითაროს** სათანადო ცოდნასა და კვალიფიკაციასთან ერთად უწყვეტი განათლებისა და პროფესიული განვითარების, კონკურენ-ციის გაწევის, ინოვაციებისთვის მზაობის, ეთიკური ნორმების, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით სამეცნიერო ნაშრომის/პროექტის შექმნის და შესაბამისი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოების წინაშე მათი წარდგენის და მსჯელობის უნარი; 5. **ჩამოუყალიბოს** ცალკეულ პერიოდში სხვადასხვა ქვეყნებისა და ერების განსხვავებული ღირებულებების, იდეების და შეხედულე-ბათა პატივისცემის უნარი; სამართლიანობისა და ტოლერანტობის პრინციპებზე დაყრდნობით ისტორიული მოვლენების ობიექტურად შეფასების, სწავლასა და საქმიანობაში ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვის და სხვების მოსაზრების პატივისცემის უნარი.
სწავლის შედეგები	**კურსდამთავრებული:** 1. **ავლენს** ღრმა და სისტემურ ცოდნას **ა)** ქართული ცივილიზაციის ჩამოყალიბების და მისი განვითარების ეტაპების თავისებურებების შესახებ; **იაზრებს** საქართველოს ისტორიის ცალკეულ მოვლენებსა და ფაქტებს, **ახდენს** მათ ინტერპრეტაციას და ანალიზს მსოფლიო ისტორიის კონტექსტში და **აფასებს** მათ გავლენას თანამედროვეობაზე სფეროს ტრადიციულ მიდგომებსა და უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით; **ბ)** XVI-XXI საუკუნის დასაწყისის ევროპის და ამერიკის ქვეყნების ისტორიის (სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური) ძირითადი ეტაპებისა და ტენდენციების შესახებ; ასევე, ევროპის და ამერიკის კონტინენტებზე მცხოვრები ხალხების კულტურის, რელიგიური კუთვნილების, გეოპოლიტიკური თავისებურებებისა შესახებ; **ახდენს** ისტორიული განვითარების ცალკეულ ეტაპზე ქვეყნებს შორის პარალელის გავლებას, საერთო და განმასხვავებელი მახასიათებლების წარმოჩენას და **აფასებს** მათ გავლენას თანამედროვეობაზე სფეროს ტრადიციულ მიდგომებსა და უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით; 2. **იყენებს** დარგში არსებულ მიდგომებსა და თეორიებს ახალი სამეცნიერო იდეების შემუშავების, სამეცნიერო ნაშრომის შექმნისა და ორიგინალური იდეების განვითარებისათვის; 3. **აცნობიერებ**ს ცალკეული ისტორიული ფაქტის თუ მოვლენის განსხვავებულად გადმოცემის და შეფასების შესაძლებლობას,

	ისტორიის ფალსიფიკაციის და ისტორიული მეცნიერების განვი-თარებაში იდეოლოგიური გავლენის არსებობას. 4. **მოიძიებს**, **ამუშავებს** და **აანალიზებს** წყაროებს და ისტორიო-გრაფიულ ძეგლებს; შესაბამის მეთოდოლოგიაზე და აკადემიურ სტანდარტებზე დაყრდნობით კრიტიკულად **იაზრებს** და მიზნობრივად **იყენებს** შეძენილ ცოდნას ისტორიული ფაქტის თუ მოვლენის რეკონსტრუქციისას; სამეცნიერო კვლევის პროცესში **ახდენს** საისტორიო უახლესი და ინოვაციური იდეების გენერირებას; 5. **გეგმავს** და **ახორციელებს** სამეცნიერო-კვლევით პროექტებს; **აყალიბებს** დასაბუთებულ დასკვნებს ისტორიულ პრობლემებთან მიმართებაში; **შეუძლია** კვლევის მეთოდების სწორად შერჩევის, სინთეზის, ანალიზისა და შეფასების საფუძველზე დასახული ამოცანის გადაწყვეტა; 6. **მონაწილეობს** დისკუსიაში, განსხვავებულ აზრს აანალიზებს და კვლევის შედეგებს წერილობითი თუ ზეპირი ფორმით წარადგენს სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოების წინაშე; 7. პროფესიული საქმიანობის დროს აქტიურად **იყენებს** საინფორ-მაციო ტექნოლოგიებს დარგის სპეციალისტებთან მშობლიურ თუ უცხო ენაზე კომუნიკაციის დროს. 8. **პატივს სცემს** ჰუმანიზმის და დემოკრატიის იდეებს, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, მშობლიური და სხვა ქვეყნების ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას, ტრადიციებსა და ფასეულობებს; 9. კვლევით პროცესში მუშაობს როგორც ინდივიდუალურად, ასევე, ჯგუფში; მულტიდისციპლინურ სასწავლო თუ სამუშაო გარემოში ჩართვისას **ახდენ**ს საკუთარი უნარების განვითარებას, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებას და მათზე პასუხი-სმგებლობის აღებას; პროფესიული სტანდარტების, ეთიკური ნორმების და ობიექტურობის პრინციპის დაცვით კეთილსინდი-სიერად **ახორციელებს** თავის საქმიანობას და ხელს უწყობს დარგში არსებული ცოდნის განვითარებას; 10. **აღიარებს** უწყვეტი პროფესიული განათლების აუცილებლობას; **აფასებს** პროცესის თანმიმდევრულობას და მრავალმხრივობას; ისტორიის დარგში **განსაზღვრავს** სწავლის საჭიროებებს და გამოყოფს იმ პრიორიტეტებს, რაც განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების ან/და სფეროში დასაქმების შესაძლებლობას მისცემს.
შეფასები წესი	ცალკეულ სასწავლო კურსში სტუდენტის საბოლოო შეფასება გამოიყვანება აკადემიური აქტივობის, რეიტინგული შეფასებისა და გამოცდის შედეგების ჯამით. საბოლოო შეფასება განისაზღვრება შემდეგი რანჟირებით: A,B, C, D, E, FX, F. A – ფრიადი 91-100 ქულა; B – ძალიანკარგი 81-90 ქულა; C – კარგი 71-80 ქულა; D– დამაკმაყოფილებელი 61-70 ქულა; E – საკმარისი 51-60 ქულა; FX – ვერ ჩააბარა 41-50 ქულა. სტუდენტს აქვს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

	F – ჩაიჭრა 0-40 ქულა. სტუდენტს საგანი თავიდან აქვს გასავლელი.
საკონტაქტო პირ(ებ)ი	**ნანა ხახუტაიშვილი** +995 599 28 55 02 **ხათუნა დიასამიძე** +995 577 42 71 30